პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 174[1] მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

4. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9, მე-10[1], მე-11 და 11[1] მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 25 (ოცდახუთი) დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 (ოცდაათი) დღემდე ვადით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი